პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 42 (2762) ● სამშაბათი, 2 მარტი, 1965 წ. ● ფასი 2 კაპ.

50 წელი



ნახევარი საუკუნე!

როცა ადამიანი მოილევს ცხოვრების 50 წელს, იგი ნებით თუ უნებლიედ გადაავლებს თვალს ამ ხანგრძლივ, გრძელ გზას, ჩაუფიქრდება განვლილ დღეთა ქარტეხილს და საკუთარი სინდისის სამსჯავროზე გამოაქვს თავისი ცხოვრების საუკეთესო წლების ნაამაგარი.

ნახევარი საუკუნე — ეს ცოტა როდია. კაცური კაცი, როცა მისი უპირველესი იდეალია მშობლიური ქვეყნისა და ერის უანგარო სამსახური, ამ ასაკში უკვე თავისთავად იუბილარია, მაგრამ, როცა ლაპარაკია ბორის პაიჭაძეზე, საბჭოთა ფეხბურთის გამოჩენილ დიდოსტატზე, რომელმაც სამამულო სპორტის ისტორიაში დატოვა წარუშლელი კვალი, როცა ლაპარაკია ბორის პაიჭაძეზე, რომელმაც ფასდაუდები, საშვილიშვილო ამაგი დასდო ქართულ ფეხბურთს, ამ ზეიმს განსაკუთრებული ელფერი აქვს. იგი საერთო სიხარულისა და სიყვარულის ობიექტად იქცევა.

აი, ჩვენი სახელმოხვეჭილი ფეხბურთელი, 50 წელს მიბიჯებული, მუდამ ახალგაზრდული ხალისითა და ენერგიით აღსავსე ბორისი.

მძიმეა ფეხბურთის მინდვრის დატოვება, როცა კაცს სახელად ბორის პაიჭაძე ჰქვია. მაგრამ წლებს თავისი გააქვს. ახლა შორეულ ლეგენდარულ მოგონებად დარჩა მწვანე ასპარეზზე გარდახდილი დიდი ბატალიები, მაგრამ წინ არანაკლებ საინტერესო, წარმტაცი და საპასუხისმგებლო საქმეები აქვს ქართული ფეხბურთის ვეტერანს: ყოველდღიური საქმიანობა „დინამოს" სპორტკომბინატის დირექტორის პოსტზე, ათასგვარი დავალებები საზოგადოებრივი მუშაობის ფრონტზე, ფეხბურთის ფედერაციაში, სპორტკავშირში, რეგბის ფედერაციაში.

საბჭოთა სპორტის მოყვარულების, ჩვენი გაზეთის მკითხველების, მისი ტალანტის მილიონობით მოტრფიალეთა სახელით გულითა და სულით ვულოცავთ ჩვენს იუბილარს 50 წელს, 50 ვაჟკაცურ წელს და ვუსურვებთ კვლავაც ასეთ უდრეკ მებაირახტრედ ედგას სათავეში ქართულ ფეხბურთს.

უკანასკნელ საათს...

◆ **გორკი**, 1 მარტი. აქ დაიწყო სსრ კავშირის პირველობა ციგურაობაში ვაჟთა შორის. ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა ე. გრიშინმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მას ტოლი არ ჰყავს სპრინტერულ მანძილზე — 500 მეტრზე ციგურაობაში. მის მიერ ნაჩვენებ დროს 41,0 ვერც ერთმა სპორტსმენმა ვერ ჩამოაკლო წამები და გრიშინმა დამსახურებულად დაიმშვენა მკერდი ჩემპიონის ოქროს მედლით. ამ დღეს გათამაშდა 5000 მეტრზე ციგურაობაც. მინსკელი ინჟინერი, ევროპის ჩემპიონი ე. მატუსევიჩი შეუდარებელი იყო. მან დისტანცია 7.44,9-ში დაფარა და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. ორი დისტანციის ჯამში დაწინაურდა ა. ანტსონი — 89,920 ქულა. II-III ადგილებზე არიან ვ. კოსიჩკინი და მატუსევიჩი.

◆ **მოსკოვი**, 1 მარტი. დღეს აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩი ფრენბურთში ქალთა შორის. მოსკოვის „დინამოს" სპორტსმენებმა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონები — პრაღის ჩკდ-ს ფრენბურთელები. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 3:0. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა გაიმართება 14 მარტს, პრაღაში.

მოსკოვის საერთაშორისო ჩოგბურთი

მოსკოვი (ტელეფონით). გასულ კვირას მოსკოვში სპორტსაზოგადოება „შახტიორის" დარბაზის კორტებზე დაიწყო დედაქალაქის ტრადიციული X საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. წელს ამ დიდ შეჯიბრებაში სსრ კავშირის სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობენ უნგრეთის, რუმინეთის, ფინეთის, საფრანგეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის ჩოგბურთელები.

ამ ასპარეზობაში გამოდის 20 ქალი და 32 ვაჟი. ტურნირი დაიწყო ვაჟთა ერთეულების შეხვედრებით. მეტრეველმა პირველ წრეში იოლად მოუგო ფინელ იოკინენს — 6:2, 6:3. დანარჩენი შეხვედრებიდან აღსანიშნავია იუშკას გამარჯვება რუმინელ ბოშთან — 6:4, 7:5. ასეთივე ანგარიშით, მაგრამ დამარცხებით დაამთავრა შეხვედრა მეორე საბჭოთა ჩოგბურთელმა ბურკომ რუმინელ მერმურიანუსთან. 22 წლის ფრანგმა სპორტსმენმა პონტემ მოუგო ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელს პეშჩანკოს, ხოლო იუხველტმა (სსრ კავშირი) დაამარცხა ფრანგი ბეუსტი.

ქალთა შორის შეჯიბრება წარუმატებლად დაიწყო თბილისელმა ერმოლოვამ, რომელმაც წააგო შეხვედრა ჩალკოსთან (სსრ კავშირი).

◆ წარმატება ტრადიციულ ტურნირზე

ჰოლანდიაში დამთავრდა ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც სხვებთან ერთად, საბჭოთა დიდოსტატები — მსოფლიო ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი მონაწილეობდნენ. შესანიშნავად ითამაშა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა. მან 7 შესაძლებლიდან 6 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. 1,5 ქულით ჩამორჩა მას მეორე ადგილზე გამოსული დიდოსტატი პ. ტრიფუნოვიჩი (იუგოსლავია). 4 ქულით მესამე ადგილზეა ს. ფლორი.

მომდევნო ადგილებზე არიან მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ბ. ლარსენი (დანია) და ჰოლანდიელი დ. ვანდენბერგი.

შაში

ასპარეზობის ფინიში

თბილისში დამთავრდა საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური გუნდური პირველობა შაშში, რომელშიც სპორტსაზოგადოებათა გუნდები მონაწილეობდნენ. თვითეულ გუნდში 3 ვაჟი და 1 ქალი იყო.

ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: I. „განთიადი", II. „ბურევესტნიკი", III. „სპარტაკი", IV-V. „განთიადი" (ახალგაზრდული) და „ლოკომოტივი", VI. „შრომითი რეზერვები".

I დაფაზე კარგად ითამაშეს თ. ბარამიძემ (ფოთი) და ს. მოძღვრიშვილმა (ქუთაისი), რომლებმაც 4-4 ქულა მოაგროვეს 5-დან. ასუჯრიან დაფაზე მოთამაშეთა შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ გ. ბარამიძე (სოხუმი) და ბ. ლიტვაკი (თბილისი) 4-4 ქულა 5-დან.

ასპარეზობაში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგისთვის დაწესებული პრიზი მიიღო „ბურევესტნიკის" მოშაშე ქალმა ლ. რამაზანოვამ — 4,5 ქულა 5-დან.

პირველობის შემდეგ გაიმართა ელვისებური ტურნირი 20 მოშაშის მონაწილეობით. I ადგილი დაიკავა გ. ბარამიძემ.

ჭადრაკი

◆ ე. უბილავა — ლიდერების მეტოქე

საქართველოს მოსწავლეთა 1965 წლის ჩემპიონატის VIII ტურში უბილავამ სძლია ბურკაძეს. ჩეჩელიანმა მეორე დამარცხება მიაყენა ლიპარტელიანს. კერნოჟიცკიმ მოუგო გიორგაძეს, ბრეგაძემ — ფარღალავას, ვარდოსანიძემ — ბურჭულაძეს.

IX ტურში ლიპარტელიანმა გაიმარჯვა ბურკაძესთან პარტიაში, ბრეგაძე დამარცხდა გიორგაძესთან. სამი პარტია გადაიდო.

ასპარეზობის დამთავრებას კიდევ ორი ტური აკლია. IX ტურის შემდეგ ლ. კერნოჟიცკსა და ე. კარკმაზოვს 5,5-5,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, ე. უბილავას — 5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ა. ლიპარტელიანს — 5 ქულა.

◆ სამი გამარჯვება

საქართველოს 1965 წლის მცირე ჩემპიონატის III ტურში ბერაძემ მოუგო თხელიძეს, ხოლო ბუსლაევმა — ჩხაიძეს. პირველი დამარცხება განიცადა ლომაიამ. მას მოუგო ელიოზიშვილმა. ყაიმით დამთავრდა გამრეკელ—შაქარიანის შეხვედრა.

III ტურის შემდეგ ლიდერობს ა. ბუსლაევი, რომელსაც 3 ქულა აქვს.

◆ შეცდომა მე-10 სვლაზე და... წაგება

მოსკოვი, 1 მარტი (ტელეფონით). სსრ კავშირის უძლიერეს ჭაბუკ მოჭადრაკეთა ტურნირის IV ტურში ბოკუჩავა შეხვდა ბოროდინსკის. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა და გადაიდო თანაბარ პოზიციაში.

გრიგორიანმა მოუგო ვიტოლინშს, ბალაშოვმა — კუზმინს, მიშუჩკოვმა — მუხინს. ყაიმით დამთავრდა ზამანოვ—რაზუვაევის შეხვედრა.

V ტურში ბოკუჩავამ ვიტოლინშთან შეხვედრისას (სიცილიური დაცვა) უკვე მე-10 სვლაზე მძიმე შეცდომა დაუშვა და მალე დამარცხდა.

აგზამოვმა მოუგო რაზუვაევს, რაშკოვსკიმ — მიშუჩკოვს, ტუკმაკოვმა — გოიხმანს. ყაიმზე შეთანხმდნენ კუზმინი — გრიგორიანი.

V ტურის შემდეგ ოდესელ ვ. ტუკმაკოვს 4 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

გორკი, 28 თებერვალი. „დინამოს" სტადიონზე დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა ციგურებით სწრაფ რბენაში ქალთა შორის. მოსალოდნელი იყო, რომ მსოფლიო ჩემპიონი ი. ვორონინა პირველ დღეს 500 და 1.500 მეტრზე რბენაში იოლ გამარჯვებას მოიპოვებდა, მაგრამ მან მთელი ენერგიით რბოლაში ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, რის გამო ორივე დისტანცია სვერდლოვსკელმა ვ. სტენინამ მოიგო.

ი. ვორონინა მეორე დღეს შეეცადა დანაკარგის ანაზღაურებას. მართლაც, 1.000 მეტრზე რბენაში მან შესანიშნავი დრო — 1.35,5 აჩვენა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სტენინა 0,7 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილზე გამოვიდა ნესტეროვა — 1.38,0.

მრავალჭიდში გამარჯვებისთვის ვორონინას 3.000 მეტრზე რბენაში 12,8 წამით უნდა ესწრო სტენინასთვის. ვორონინამ, მართალია, ყველაზე გრძელ დისტანციაზე რბენაც მოიგო — 5.08,7, მაგრამ აბსოლუტური ჩემპიონობისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. სტენინა გამოვიდა მეორე ადგილზე, ტ. როსტოპშინა — მესამეზე — 5.16,2.

ამრიგად, მრავალჭიდში ვ. სტენინას 195,733 ქულა აღმოაჩნდა და ჩემპიონობაც მას მიეკუთვნა. მსოფლიო ჩემპიონი ი. ვორონინა მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ა. პატაკოვა მესამე ადგილზე გამოვიდა.

სურათზე: ვ. სტენინა დისტანციაზე.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.



პრიზები საუკეთესოებს

თბილისის ტურში დაწესებული იყო სპეციალური პრიზები, რომლებიც ჟიურიმ შემდეგ კალათბურთელებს მიანიჭა:

კალათბურთის ფედერაციისა („საუკეთესო მცველს") — **გ. მინაშვილს** („დინამო", თბილისი).

სახელმწიფო უნივერსიტეტისა („საუკეთესო მცველს") — **ვ. ხრინინს** („დინამო", მოსკოვი).

პოლიტექნიკური ინსტიტუტისა —(„საჯარიმო სროლების საუკეთესო შემსრულებელს") — **ვ. გორკოვენკოს** („სპარტაკი", მინსკი).

ფიზკულტურის ინსტიტუტისა („ყველაზე შედეგიან კალათბურთელს") — **ა. ტრავინს.**

საქართველოს სპორტკავშირისა („ტურის საუკეთესო მსაჯს") — **დ. დავთიანს** (ერევანი).

გაზეთ „ლელოსი" („საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელს") — **ა. ლეჟავას** („დინამო", თბილისი).

ს უ რ ა თ ზ ე: ჩვენი ჯილდოს მფლობელი ა. ლეჟავა თამაშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

კალათბურთი

ჭეშმარიტებას თვალებში შევხედოთ

Დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ტური. დამთავრდა ჩემპიონატის გარშემო შექმნილი ჯანსაღი აჟიოტაჟის დღეები. გუნდებმა კანონით გათვალისწინებული ხანმოკლე დასვენების უფლება მიიღეს. შემდეგ კი, სულ მალე, უკანასკნელად აგვაღელვებს მსაჯის სასტვენი, დიქტორის ხმა, გულშემატკივართა გამამხნევებელი შეძახილები და დაიხურება ჩვენი კალათბურთის ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი.

ჯერჯერობით კი თბილისისა და ალმა-ათის ტურები სპეციალისტთა, პირველ რიგში კი მწვრთნელთა გულმოდგინე მსჯელობისა და ანალიზის საგანი უნდა გახდეს. წინ არის გადამწყვეტი ეტაპი, მარათონული დისტანციის ყველაზე პასუხსაგები მონაკვეთი, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს ტურნირის მთავარ შეკითხვას: ვინ გახდება სსრ კავშირის 1965 წლის ჩემპიონი?

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მოწყობილ ტურნირს ამ მხრივ ახალი სიტყვა არ უთქვამს. ცსკა იყო და რჩება ყველაზე მაღალი ჯილდოს — ოქროს მედლების — ძირითად და ერთადერთ კონკურენტად. მაგრამ თბილისის ტურმა რამდენიმე საინტერესო მომენტს ხაზი მაინც გაუსვა და მათი უყურადღებოდ დატოვება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

ყველაზე მეტად საგულისხმოა ორი მათგანი: 1. საბჭოთა კალათბურთის ლიდერი (ცსკა) არ არის უნაკლო გუნდი და მასაც გარკვეული დოზით „ამქვეყნიური ცოდვები" ახასიათებს (გაიხსენეთ რიგის ვეფ-თან მისი მარცხი, რომელიც თავისი შინაარსითა და ლოგიკით მოულოდნელობათა კატეგორიას არ მიეკუთვნება) და 2. მიუხედავად ამისა, ცსკა „მოაზროვნე კოლექტივია", რომელიც ანგარიშს უწევს ყოველ კონკრეტულ სიტუაციას და თავის სამოქმედო გეგმას ფაქტების ღრმა ანალიზზე სახავს.

უფრო დეტალურად გავშიფროთ ეს მეორე მომენტი. ცსკა-სთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ თბილისის ტურში მის მძლავრ და საათივით აწყობილ მექანიზმს ერთგვარი ბზარი გაუჩნდა, ამიტომ არ იყო გამორიცხული კიდევ ერთი დამარცხების საფრთხე. გადამწყვეტი ეტაპის ორი წაგებით დაწყება სხვა რომ არაფერი, შესაძლოა გუნდისთვის საბედისწეროც გამხდარიყო (მით უმეტეს, სათამაშო რჩებოდა ისეთ ძლიერ კოლექტივებთან, როგორიცაა კიევის „სტროიტელი", ტარტუს „კალევი" და ლენინგრადის „სპარტაკი"). როგორც ხედავთ, არმიელებს უკანასკნელ მატჩში (თბილისის „დინამოსთან") მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ.

მოგება, როგორც ჰაერი მასპინძლებისთვისაც იყო აუცილებელი, რადგან ამ შემთხვევაში, ვერცხლის მედლებისთვის ბრძოლა რეალურ ფორმებს იღებდა. არმიელებმა ესეც კარგად იცოდნენ და ამიტომ გუშინწინდელი მატჩისათვის საგანგებოდ მოემზადნენ. ნუ გაიგებთ ამ „საგანგებოდ მომზადებას" შაბლონურად (მტკიცე რეჟიმი, სპეციალური წვრთნა და ა. შ.). მათ, როგორც ჩანს, ბევრი იფიქრეს, იმსჯელეს და ბოლოს იმ ტაქტიკურ სიახლეზე შეჩერდნენ, რომელმაც ამ მატჩში შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულა.

კვირის მატჩს სპორტის სასახლეში კალათბურთის 10 ათასი მოყვარული ესწრებოდა. აქ იყვნენ სპეციალისტებიც, მწვრთნელებიც, მსაჯებიც და, ცხადია, უბრალო გულშემატკივრებიც. ჰრა გვგონია, რომ ამ ხალხში ვინმეს მოსვლოდა აზრად, რომ ცსკა ამ პრინციპულ მატჩს მეორე შემადგენლობით დაიწყებდა. ეს იყო ფსიქოლოგიური შეტევა, ტაქტიკური დარტყმა, რომელიც ამავე დროს საკმაოდ მარტივ და ეფექტურ მიზანს ისახავდა: ძირითადი დასვენებული ძალის შემოყვანას კრიტიკულ მომენტში.

რამდენად სწორი იყო ეს ტაქტიკური დემარში, ძნელი სათქმელია, ისევე, როგორც შეუძლებელია დავადგინოთ, რა მოხდებოდა, არმიელებს თამაში ძირითადი ხუთეულით რომ დაეწყოთ. მაგრამ ერთი კი ცხადია: ცსკა-მ მოიგო მატჩი, ამასთან საკმაოდ იოლად და, მაშასადამე, ტაქტიკურმა „დარტყმამ" თავის მიზანს მიაღწია.

არმიელთა სასტარტო ხუთეულმა (ბოროდინი, ასტახოვი, ლიპსო, კულკოვი და კაპრონოვი) შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა „დინამოს" ძირითად შემადგენლობას. მართალია, მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ ამ წარმატებას დიდი დანაკლისის ფასად მიაღწიეს: 2-2 საჯარიმო „მოიხვეჭეს" მინაშვილმა, საკანდელიძემ და სხიერელმა.

კრიტიკული მომენტი არმიელთა აზრით თამაშის დაწყებიდან 9 წუთისა და 9 წამის შემდეგ დადგა, როდესაც „დინამომ" ანგარიში 10 ქულის უპირატესობით წაიყვანა — 24:14. სწორედ ამ დროს გამოვიდნენ მოედანზე ვოლნოვი, კორნეევი, ტრავინი და ალაჩაჩიანი (პირველი ხუთეულიდან მოედანზე მხოლოდ ლიპსო დარჩა). თამაშის რიტმი ერთბაშად შეიცვალა და ტაიმის ბოლოსთვის დინამოელთა უპირატესობა 1 ქულამდე დავიდა — 33:32.

როგორც იტყვიან, „თამაში უკვე გაკეთებული იყო", მაგრამ არსებობს ერთი „ვინ იცის", რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით. მაშინ, როდესაც ჩვენი გუნდი წინ იყო 10 ქულით, დინამოელებმა შეტევის წარმოების დროს 7 გადაცემა (!) დაკარგეს. ამ შვიდიდან 4 პასს მაინც რომ მიეღწია მიზნისთვის, განსხვავება 18 ქულა იქნებოდა. და მაშინ ვინ იცის... თუმცა ეს უკვე მკითხაობის საეჭვო სფეროა.

მეორე ტაიმი ცსკა-მ ძირითადი შემადგენლობით დაიწყო და უმალ ეფექტს მიაღწია. 25-ე წუთისათვის არმიელები წინ იყვნენ უკვე 7 ქულით, ხოლო კიდევ 5 წუთის შემდეგ სხვაობამ 12 ქულას მიაღწია. ამ დროისთვის „დინამოს" შეტევებს ქაოტური და გაუაზრებელი ხასიათი ჰქონდა. არც ერთი ცოტად თუ ბევრად გამართლებული კომბინაცია, არც ერთი ჭკვიანური შეტევა. და თუ ცალკეულ შემთხვევებში ჩვენი კალათბურთელები იერიშს ეფექტურად ამთავრებდნენ, ეს მხოლოდ პირადი იმპროვიზაციის წყალობით ხდებოდა. კოლექტივი კი უგეგმოდ და მიზანდაუსახავად მოქმედებდა. ასეთ სიტუაციაში მინაშვილის სწრაფვა ანსამბლის ერთიანობის მისაღწევად, პარტნიორების „წყალობით" წყლის ნაყვას ჰგავდა.

და კიდევ ერთი უსიამოვნო ფაქტი. — ცსკა-მ მეორე ნახევრის დასაწყისშივე მიმართა პრესინგს, რომლის წინააღმდეგ დინამოელები საოცრად უძლურნი აღმოჩნდნენ. ისეთი რანგის გუნდმა, როგორიც თბილისის „დინამოა", მეტოქეს არ უნდა მისცეს 33 წამში 5 ქულის აღების საშუალება. „ა" კლასის ფინალისტთათვის ასეთი რამ ყოვლად მიუტევებელია.

„დინამომ" მატჩი 16 ქულის სხვაობით წააგო — 63:79. შეიძლება კამათი იმაზე, გამოხატავს თუ არა ანგარიში გუნდებს შორის ძალთა შეფარდებას, მაგრამ ცხადია, რომ ცსკა ამჟამად გაცილებით უფრო ძლიერი კოლექტივია. და როგორი გულსატკენიც უნდა იყოს ეს ჭეშმარიტება, ჩვენ უფლება არა გვაქვს მას თვალებში არ შევხედოთ.

ნ. ახვლედიანი.

• • •

თბილისის სპორტის სასახლეში გუშინწინ გამართული ორი დანარჩენი შეხვედრის შედეგი ასეთია: ვეფ (რიგა) — სკა (კიევი) 68:47, „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მინსკი) 78:71.

• • •

ალმა-ათა (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). **მოგვყავს კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი ორი დღის ტექნიკური შედეგები: „სტროიტელი" (კიევი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 75:50, „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) — „კალევი" (ტარტუ) 53:52, „ჟალგირისი" (კაუნასი) — სკა (რიგა) 52:49, „სტროიტელი" (კიევი) — სკა (რიგა) 58:51, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „კალევი" (ტარტუ) 65:64, „ჟალგირისი" (კაუნასი) — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) 63:48.**

გათამაშების ცხრილები

ვაჟები

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა	16	15	1	15
„სტროიტელი" კიევი	16	12	4	12
„დინამო" თბილისი	16	10	6	10
„კალევი" ტარტუ	16	9	7	9
ვეფ რიგა	16	9	7	9
„დინამო" მოსკოვი	16	8	8	8
სკა კიევი	16	7	9	7
„სპარტაკი" ლენინგრ.	16	7	9	7
„ჟალგ". კაუნასი	16	7	9	7
„ლოკომ". ალმა-ათა	16	5	11	5
სკა რიგა	16	4	12	4
„სპარტაკი" მინსკი	16	3	13	3

ქალები

	თ.	მ.	წ.	ქ.
ტტტ რიგა	16	15	1	15
სპი თბილისი	16	11	5	11
სკა ლენინგრადი	16	10	6	10
„ბურ". ლენინგრადი	16	9	7	9
„დინამო" კიევი	16	9	7	9
„სპარტ". მოსკ. ოლქი	16	8	8	8
„ურალმაში" სვერდ.	16	8	8	8
„სიბირიაჩკა" ნ.-სბ.	16	8	8	8
„უნივერ". ტარტუ	16	7	9	7
„ტექსტილმაში" ტაშკ.	16	4	12	4
„ბურ". როსტოვი	16	4	12	4
სიმ. მოსკოვი	16	4	12	4

თბილისელი სტუდენტები — მეორე ადგილზე

სვერდლოვსკი (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). უკანასკნელი შეხვედრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდს როსტოვის „ბურევესტნიკთან" ჰქონდა. საინტერესო მატჩი ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა — 57:50. ამ მოგებით თბილისის სტუდენტებმა სატურნირო ცხრილში II საპრიზო ადგილზე გადაინაცვლეს.

მოგვყავს დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: სკა (ლენინგრადი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 61:43, „დინამო" (კიევი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 61:51.

ტალინი (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ). მოგვყავს ორი უკანასკნელი კალენდარული დღის შედეგები: ტტტ (რიგა) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 76:34, „უნივერსიტეტი" (ტარტუ) — „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) 55:44, „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი) —ტტტ (რიგა) 57:63, „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — „ტექსტილმაში" (ტაშკენტი) 62:57, „უნივერსიტეტი" (ტარტუ) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 58:55.

კარგი შედეგები რთულ ტრასაზე

მძლეოსნობა

★

ზამთრის რესპუბლიკური პირველობა კროსში

★

Მძლეოსანთა რესპუბლიკურ პირველობაში ასეთი დაძაბული ბრძოლები კარგა ხანია არ ყოფილა. სიმწვავე განსაკუთრებით იგრძნობოდა 14.000 მეტრზე ვაჟთა რბენაში. იგი ახალი საკავშირო კლასიფიკაციის იმ პუნქტმა განაპირობა, რომელიც გამარჯვებულს ოსტატის წოდებას უნაღდებს. ამ დისტანციის სტარტზე გამოსულ 17 სპორტსმენს საკავშირო ტრასაზე გაცილებით რთული პროფილი სამჯერ უნდა გაერბინა.

5 კილომეტრის შემდეგ რბოლას ორი ლიდერი ჰყავდა — სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვ. რუკინი და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ი. მიხაილჩენკო (ორივენი — თბილისის I გუნდიდან). 10 მეტრის დაშორებით მათ მიჰყვებოდა ვ. ვირჩენკო (თბილისის II გუნდი) და კიდევ 5 მეტრში — ოსტატი ნ. ევაეევი.

რუკინი და მიხაილჩენკო ტემპს თანდათან, ერთგვარად „მოკრძალებულად" უმატებდნენ, — გადამწყვეტ ბიძგს კი ვერც ერთი ვერ ბედავდა. მათ ისე მოიტოვეს 13 კილომეტრი, რომ კაცი ვერ იტყოდა — ამ ორში ვის დარჩებოდა გამარჯვება.

და აჰა, უკანასკნელი კილომეტრი. ლიდერებს ოსტატობამდე მცირედიღა დარჩათ და გამარჯვებისათვის ამ მონაკვეთში ორივემ მაქსიმალური სისწრაფე „ჩართო". რუკინს სპრინტერის მეტი თვისება აღმოაჩნდა და მან პირველი ადგილიც საკმაოდ მაღალი შედეგით (46:40) მოიპოვა. მიხაილჩენკო მას 3 წამით წამორჩა. მესამე ადგილზე გამოვიდა ვირჩენკო — 47:42,0

ამრიგად, ვ. რუკინის სახით საქართველოს მძლეოსანთა რიგებს კიდევ ერთი ოსტატი შეემატა. მასვე გადაეცა მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის სპეციალური პრიზიც.

ენერგიულად იბრძოდნენ 5.000 მეტრზე მორბენლებიც. მართალია, აქ პირველობა ოსტატობას არ იძლეოდა, მაგრამ უჟგოროდში, საკავშირო კროსზე წასასვლელი საგზური მხოლოდ საპრიზო ადგილებს მოჰქონდა, რაზედაც პრეტენზიას 28 მორბენალი აცხადებდა. პირველობისათვის მონაწილეთა ლტოლვა იმდენად დიდი იყო, რომ გამარჯვებულებმა კარგი შედეგები აჩვენეს, ჩემპიონობა კი ორი სპორტსმენის — გორელ ზ. ეფრემიძისა და რუსთავის გუნდის წევრის ვ. ნესტერენკოს საკუთრება გახდა. ფინიშზე ორივემ აბსოლუტურად ერთნაირი შედეგი —16 წუთი და 8 წამი — აჩვენა. თბილისის I გუნდის წევრი ვ. პეტროსიანი III ადგილზე გამოვიდა — 16.26,0.

„ლელოს" პრიზი — ლ. თოფჩიშვილს

სხვა დისტანციებზე გამარჯვებულებს, სამწუხაროდ, სასიქადულო არაფერი აქვთ. გამონაკლისი მხოლოდ საგურამოს სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი-მასწავლებელი ლ. თოფჩიშვილი იყო. 1.000 მეტრზე ქალთა შორის რბენაში მან ერთადერთმა აჩვენა II თანრიგის შედეგი, მოიპოვა პირველი ადგილი და „ლელოს" პრიზი, რომელიც არათბილისელთა შორის საუკეთესო მძლეოსანი ქალისთვის იყო დაწესებული. თოფჩიშვილმა 7,4 წამით მოუგო ასპარეზობის მეორე პრიზიორს — ბათუმელ ლ. რიაბცევას. გორელი ნ. ტალახაძე III ადგილით დაკმაყოფილდა —3.50,4.

საკავშირო კროსში თუ აღნიშნულ დისტანციებზე ჩვენი სპორტსმენების ერთგვარი წარმატების იმედი გვესახება, ამას ვერ ვიტყვით გოგონების 1.000, ქალთა 2.000 და ჭაბუკთა 3.000 მეტრზე რბენაში. დელისის მიდამოებში გამართულ რესპუბლიკურ კროსში გოგონათა 1.000 და ქალთა 2.000 მეტრზე ასპარეზობაში გამარჯვებულები ლ. ზგურსკაია (თბილისი II) და ლ. ცხომელიძე (ბათუმი) III თანრიგის ნორმატივებსაც ვერ შეწვდნენ. ჭაბუკთა 3.000 მეტრზე რბენაში საუკეთესომ — ბ კირილოვმა (თბილისი —II) მხოლოდ 9.59,0 აჩვენა.

ნაკრების ხელმძღვანელობამ უჟგოროდის სტარტებამდე დარჩენილი დრო (საკავშირო კროსი 15 მარტს გაიმართება) მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ქალთა და გოგონათა შედეგების ზრდისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში წლევანდელ საკავშირო ტურნირში გაძნელდება შარშანდელი საერთო გუნდური შედეგის გაუმჯობესება.

რესპუბლიკურ კროსში 9 კოლექტივი (თბილისის — 2, აჭარა, აფხაზეთი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, გორი და მახარაძე) მონაწილეობდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი II, 2. თბილისი I, 3. რუსთავი.

ო. გელაშვილი.

ს უ რ ა თ ზ ე: — „ლელოს" პრიზის მფლობელი ლ. თოფჩიშვილი.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

ქართული ფეხბურთის დიდი მოამაგე

წერილები, დეპეშები, მისალოცი ბარათები...

როცა უყურებ გულშემატკივართა მთელ ამ საიუბილეო ფოსტას, განსაკუთრებული სითბო და სიყვარულის გრძნობა გიპყრობს იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც თავის მეგობრებთან ერთად შეუქმნა დიდება და ძალა ქართულ ფეხბურთს, სახელი გაუთქვა მის მოწინავე გუნდს — თბილისის „დინამოს“.

აი პატარა წერილი, რომელსაც ასეთივე პატარა გულშემატკივარი გვწერს ბათუმიდან: „მე 15 წლისა ვარ და არ მინახავს ბორის პაიჭაძე. მაგრამ ვიცი ყველაფერი: როგორ თამაშობდა იგი, როგორ გაჰქონდა გოლები, როგორი პატივისცემით სარგებლობდა მოწინააღმდეგეთა შორისაც კი. სიხარულით მივულოცავ 50 წლისთავს ბორის პაიჭაძეს. შოთა გოგიაშვილი“.

ასე გულწრფელად ულოცავს ქართული ფეხბურთის სახელოვან ვეტერანს ყველა, ვისაც კი სმენია მისი სახელი, ვისაც კი უნახავს ოდესმე მისი ბრწყინვალე თამაში.

ბევრს, ვინც ახლა დადის სტადიონზე და არ მოსწრებია ბორის პაიჭაძის ნახვა მაშინ, როცა იგი თავისი სპორტული ოსტატობის ზენიტში იყო, ვფიქრობთ, ჩვენს მიერ მოყვანილი ფოტოსურათები ნაწილობრივ შეუქმნიან მათ წარმოდგენას, თუ როგორ თამაშობდა ფეხბურთის ეს შესანიშნავი ხელოვანი.

უდიდესი სპორტული კულტურა, მოწინააღმდეგეთა პატივისცემა, კორექტული, რაინდული თამაში. განუმეორებელ კოლორიტულ ფიგურად ქმნის ბორის პაიჭაძეს. თავის პარტნიორებთან ერთად მან შექმნა ის განსაკუთრებული სტილი, რომელიც დღემდე შემორჩა თბილისის „დინამოს“, მისი შორეული მემკვიდრეები არიან ისინი, ვინც დიდების კვარცხლბეკზე აიყვანა ქართული ფეხბურთი და საბჭოთა კავშირში უძლიერესის წოდებამდე მიიყვანა იგი.



ჩვენი რედაქციის ფოტოარქივმა შემოინახა ეს საუცხოო სურათი, რომელზეც შესანიშნავადაა აღბეჭდილი ბორის პაიჭაძის დაუოკებელი ტემპერამენტი, მისი ცეცხლოვანი ენერგია, უდიდესი შემტევი ძალა.

ეს იყო 1950 წლის მატჩი მოსკოვში ადგილობრივ „დინამოსა“ და თბილისელთა გუნდს შორის. ბ. პაიჭაძეს ადრე მუხლის მძიმე ტრავმა ჰქონდა მიღებული და დიდი ხნის განმავლობაში გამოთიშული იყო ფეხბურთს. ასეთი ტრავმა 35 წლის ასაკში ფეხბურთელისათვის კატასტროფულია. ეს პირდაპირი ნიშანია მისი სპორტული კარიერის დამთავრებისა.

მაგრამ ბ. პაიჭაძეს არ დაუტოვებია მწვანე მინდორი. იგი კვლავ სათავეში ჩაუდგა თავის კოლექტივს და „ა“ კლასის უძლიერესი გუნდების დაცვაში კვლავ გაისმოდა შეშფოთებული ძახილი: „პაიჭაძე, დაიჭით პაიჭაძე!“.

აი ახლაც, მოსკოველთა განთქმული ცენტრალური მცველი ლ. სოლოვიოვი პაიჭაძესთან შეტაკების შემდეგ ორივე მუხლზე დაჩოქილი დარჩა. საშველად მორბის განაპირა მცველი ივანოვი, მაგრამ როგორც ხედავთ, ფაქტიურად იგიც მაყურებლისა და მოწმის როლშია. მთელი იმედი ახლა მეკარეზეა, რომელმაც უნდა შეძლოს მოწინააღმდეგე ფორვარდის გრიგალისებური იერიშის შეჩერება. და მან გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეძლო.

მიწაზე გართხმული მეკარე გახლავთ ლ. იაშინი, რომელიც მაშინ პირველად დადგა თავისი გუნდის კარის სადარაჯოზე. სურათზე ნათლად ჩანს, რომ ვერც ლ. იაშინმა, რიგით მესამე მოსკოველმა, ვერ შეძლო პაიჭაძის იერიშის ლიკვიდირება. დააკვირდით ჩვენი თავდამსხმელის მდგომარეობას, იგი მთლიანად შეკრული, მძლავრად აწყვეტილი მოძრაობაა, რომლის შეჩერება მართლაც შეუძლებელია. ბურთი გატანილ იქნა.

თბილისის „დინამო“ ამ მატჩს აგებდა ანგარიშით 1:4, შემდეგ თამაშში მოხდა სრული გარდატეხა და მოსკოველთა კარში ზედიზედ იქნა გატანილი 3 ბურთი, რომელთაგან უკანასკნელს თქვენ აქ ხედავთ. გავიდა კიდევ მცირე ხანი და იაშინის კარი გადარჩა მხოლოდ იმ სასწაულით, რომ ბურთი ძელს მოხვდა, ხოლო თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე მასპინძლებმა მაინც შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა და გამარჯვების მოპოვება ანგარიშით 5:4.



ეს სურათიც ბორის პაიჭაძის სპორტული გამოსვლების უკანასკნელ პერიოდს ეკუთვნის. თბილისში ერთმანეთს ხვდებოდნენ ძველი, ტრადიციული მეტოქეები — ადგილობრივი და მოსკოვის დინამოელები.

...ბურთი მიიღო თბილისელთა იერიშების სულისჩამდგმელმა და ორგანიზატორმა, ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბ. პაიჭაძემ. სტუმრების მეკარემ ვ. სანაიამ ნაადრევად დატოვა კარი, გამოვიდა წინ და აქ სცადა ფეხებიდან აერთვა ბურთი ფორვარდისთვის. პენალტის აღმნიშვნელ წერტილს არ იყო იგი მიღწეული, როცა მოხდა ეს „შეტაკება“ და მისი შედეგი ნათლად ჩანს სურათზე: სანაია ამ მომენტში აღარაა მეკარე. იგი მიწაზე მწოლიარე დარჩა და აღარცაა საქმის კურსში, თუ რა ხდება მის ზურგს უკან.

აქ კი ხდება ის, რომ ბ. პაიჭაძემ მეკარის შემდეგ ანგარიში გაუსწორა მცველს და სანამ დამშლევი მცველი მოასწრებდეს, რთულ მდგომარეობაში ასრულებს გადამწყვეტ დარტყმას კარში...

მთელი ეს რთული მანიპულაცია ბორის პაიჭაძემ შეასრულა წამების მეათედებში, შეასრულა როგორც ფეხბურთის დიდმა ხელოვანმა და ოსტატმა.

ბორის პაიჭაძე! თბილისის „დინამოს“ შესანიშნავი ცენტრალური ფორვარდი, მეკარეთა რისხვა!

აი, ასეთი იყო იგი მინდორზე, ყოველთვის მოძრაობაში მყოფი, გაუჩერებელი, შემტევი, ყოველთვის აზარტითა და სიცოცხლით სავსე.

„მოხეტიალე ფორვარდი“. ტყუილად როდი შეარქვეს პაიჭაძეს ეს სახელი. „ხეტიალი“ მხოლოდ მისი ტაქტიკური მანევრი არ იყო. მისი დაუდგრომელი ბუნება ვერ ეგუებოდა შეზღუდულ ჩარჩოებს და ლიმიტირებულ ზონას. ფეხბურთს ბორის პაიჭაძე თამაშობდა ვაჟკაცურად, გაშლილად, მთელი სულითა და გულით. თამაშობდა ისე, როგორიც თვითონაა ცხოვრებაში.



ეს უკვე ომამდელი ფეხბურთის პაიჭაძეა. სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ სავსებით ჩამოყალიბებული, დიდი ოსტატი, თავისებური, უაღრესად ორიგინალური ხელწერის მქონე ფეხბურთელი.

დააკვირდით, როგორ ასრულებს ბ. პაიჭაძე თავის საყვარელ ფინტს მარცხენა ფრთაზე. მოწინააღმდეგე მცველი იძულებული იყო აჰყოლოდა მის პირველ მოძრაობას, ვინაიდან შემდეგ ველარ დაეწეოდა ფლანგზე გასულ ფორვარდს. სწორედ მაშინ, როცა მცველს დაწყებული აქვს მოძრაობა და ნაბიჯიც გადადგმულია, პაიჭაძე ანაზდად ცვლის შეტევის მიმართულებას და გადის მარჯვენა მხრიდან. სანამ მცველი კვლავ დაუბრუნდება საბრძოლო მდგომარეობას, პაიჭაძე უკვე შორსაა და მისთვის მიუწვდომელი. ასე იტოვებდა პაიჭაძე ზურგს უკან ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით ორ, სამ, ოთხ მცველს და მეკარესაც კი. დანარჩენი თქვენც კარგად იცით — გოლები, გოლები, გოლები...

ჩემპიონი გამოდის მინდორზე

მოახლოვდა „ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების საკონტროლო-საწვრთნელი მატჩების პერიოდი. მას, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომავალი სეზონისათვის მზადების საქმეში.

პირველი ასეთი „სპარინგ-მატჩი“ ჩაატარეს თბილისის დინამოელებმა განვლილ კვირას „ბურევესტნიკის“ სტადიონზე. მათი მოწინააღმდეგე იყო ხარკოვის „ავანგარდი“. დუბლიორთა მატჩში მთელი თამაშის განმავლობაში იგრძნობოდა მასპინძელთა უპირატესობა, რომლებმაც მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გატანილ იქნა შესვენებამდე.

თბილისელთა ძირითად შემადგენლობას აკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, რის შედეგადაც გუნდი ასე გამოიყურებოდა: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხარტიშვილი, პეტრიაშვილი, დათუნაშვილი, ბარქაია, ხუციშვილი, ვეკუა (მაისურაძე).

მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა დინამოელთა ტერიტორიული უპირატესობა და „ავანგარდს“ ძირითადად დაცვაში მოუხდა თამაში.

ერთადერთი გოლი ასე იქნა გატანილი: მეორე ტაიმში დათუნაშვილის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს, მას მოუსწრო ხუციშვილმა და გაგზავნა კარში — 1:0. საერთოდ, ამ მატჩში კარგად გამოიყურებოდა „დინამოს“ დაცვა და მეკარე რ. ურუშაძე.

ახალი ამბები

● ჰამბურგი, 1 მარტი. საბჭოთა მოჭადრაკე ვ. ზაგოროვსკის (ვორონეჟი) მიენიჭა მსოფლიო ჩემპიონის წოდება ჭადრაკის თამაშში მიმოწერით. მან 12 შესაძლებლიდან 9,5 ქულა მოაგროვა. მეორე საბჭოთა მოჭადრაკემ გ. ბორისენკომ 8,5 ქულით მეორე ადგილი დაისაკუთრა. ზაგოროვსკი 40 წლისაა. იგი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია. როგორც მსოფლიო ჩემპიონს, მას მიმოწერით ჭადრაკის თამაშის საერთაშორისო ფედერაცია საერთაშორისო დიდოსტატის წოდებას მიანიჭებს. ამ წოდებას საბჭოთა მოჭადრაკეთაგან ფლობენ ი. ბონდარევსკი (ლენინგრადი) და პ. დუბინინი (გორკი).

● მოსკოვი, 28 თებერვალი. დღეს დილით მოსკოვის სპორტის სასახლეში უკანასკნელი ვარჯიში ჩაატარა სსრ კავშირის შაიბიან ჰოკეისტთა ნაკრებმა, რის შემდეგ გუნდი გაემგზავრა ფინეთის ქალაქ ტამპერეში, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის. საღამოს აქვე გაიმართა სსრ კავშირის II და კანადის ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. შეხვედრა ფრედ (3:3) დამთავრდა.

ვეტერანის პრიზზე

28 თებერვალს გაიმართა მორიგი მატჩები შ. შავგულიძის სახელობის პრიზზე ფეხბურთში ჩვენი რესპუბლიკის „ბ“ კლასის გუნდებისათვის.

კარგად ითამაშა გურჯაანის „ალაზანმა“ საკუთარ მინდორზე სოხუმის დინამოელთა წინააღმდეგ. პირველ ტაიმში მასპინძლებმა ორჯერ შეძლეს მეტოქის კარის აღება. შესვენების შემდეგ სოხუმელებმა გამოასწორეს მდგომარეობა და ერთი გოლიც გაქვითეს. „ალაზანმა“ გამარჯვება მოიპოვა ანგარიშით 2:1.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და რუსთავის „მეტალურგი“. დინამოელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ დასაწყისში, რაც დამთავრდა გოლით „მეტალურგის“ კარში — 1:0. შემდგომში სტუმრებმა საპასუხო გოლი გაიტანეს და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

მორიგი შეხვედრების კალენდარი ვეტერანის პრიზზე ასეთია: 3 მარტს. „მეტალურგი“ (რუსთავი) — „დინამო“ (სოხუმი); 7 მარტს. „კოლხიდა“ (ფოთი) — „ალაზანი“ (გურჯაანი), „დინამო“ (სოხუმი)—„დინამო“ (ბათუმი).

ფეხბურთი

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ინგლისი

ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატში ძალზე საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. სამი გუნდი იბრძვის როგორც ჩემპიონობის, ისე თასისათვის თანაბარი შანსებით. ესენია: „ჩელსი“, „ლიდს იუნაიტედი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“. გასულ შაბათს „ჩელსიმ“ გასვლით მატჩში დაამარცხა „სტოკ-სიტი“ — 2:0. „ტოტენჰემმა“ და „ლიდსმა“ ფრედ ითამაშეს — 0:0, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოუგო ბოლო ადგილზე მყოფ „მგლებს“ — 3:0.

ტურის დანარჩენი შედეგებია: „ბირმინჰემი“ — „შეფილდ უენსდეი“ 0:0, „ბერნლი“ — „არსენალი“ 2:1, „ევერტონი“ — „ბლეკპული“ 0:0, „ფულჰემი — „სანდერლენდი“ 1:0, „ნოტინჰემ ფორესტი“ — „ლესტერ სიტი“ 2:1, „შეფილდ იუნაიტედი“ — „ბლეკბერნ როვერზი“ 1:1, „ვესტ ჰემი“ — „ლივერპული“ 2:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „ასტონ ვილა“ 3:1.

ლიდერობს „ჩელსი“ — 46 ქულა. „ლიდს იუნაიტედს“ აქვს 45 ქულა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ — 43.

შოტლანდია

ჩემპიონატის ლიდერი — ედინბურგის „ჰარტ ოვ მიდლოტიენი“ სენსაციური ანგარიშით დამარცხდა საკუთარ მინდორზე. მან წააგო „დანდისთან“ ანგარიშით 1:7! „გლაზგო რეინჯერსმა“ მოუგო „სენტ-მირენს“ 1:0.

წაგების მიუხედავად ლიდერობს „ჰარტ ოვ მიდლოტიენი“ — 37 ქულა 26 შეხვედრიდან. „დანფერმლაინს“, „იბერნიენსა“ და „კილმარნოკს“ აქვთ 35 ქულა თვითეულს.

იტალია

გუშინწინ „მილანმა“ საკუთარ მინდორზე დაამარცხა „მესინა“ — 2:0. გოლები გაიტანეს ამარილდომ და რივერამ.

რომში „რომა“ მონდომებით უტევდა „ინტერნაციონალეს“ კარს, მაგრამ საკუთარ კარში 3 ბურთი გაუშვა და დამარცხდა — 1:3.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ატალანტა“ — „ფიორენტინა“ 2:1, „ბოლონია“ — „იუვენტუსი“ 1:1, „კალიარი“ — „კატანია“ 2:0, „ჯენოვა“ — „ფოჯა“ 1:0, „მანტოვა“ — „სამპდორია“ 1:0, „ტორინო“ — „ლანეროსი“ 3:0, „ვარეზე“ — „ლაციო“ 0:1.

23-ე ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა „მილანი“ — 38 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან „ინტერნაციონალე“ — 34, „ტორინო“, „იუვენტუსი“, „ფიორენტინა“ — 29-29 ქულა.

ისპანეთი

24-ე ტურის შედეგები ასეთია: მადრიდის „ატლეტიკო“ — „ესპანიოლი“ 3:0, „მურსია“ — ბილბაოს „ატლეტიკო“ 1:1, „ვალენსია“ — „რეალ ოვიედო“ 8:1, „ბეტისი“ — „კორდოვა“ 0:1, „ლა კორუნია“ — „სევილია“ 4:0, „სარაგოსა“ — „ელჩე“ 5:1.

მომავალ, 25-ე ტურში, რომელიც 7 მარტს ჩატარდება, უდიდესი ინტერესით ელიან ორი ძველი მეტოქის, მადრიდის „რეალისა“ და „ატლეტიკოს“ შეხვედრას.

ლიდერობს მადრიდის „ატლეტიკო“ — 37 ქულა.

(საქ. ინფ.).

ახალი წესებით

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დაიწყო საქართველოს პირადი პირველობა ჭიდაობა სამბოში. ასპარეზობაში მონაწილეობს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 110 მოჭიდავე, რაც უთუოდ სასიხარულო და მისასალმებელია. მაგრამ თუ მოჭიდავეთა გვარებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ახალი სახელები არც თუ ისე ჭარბობს. ამას კიდევ შეურიგდებოდა ადამიანი, შეჯიბრების გეოგრაფიული არე რომ იყოს ფართო და საჭიდაო სარბიელზე ვხედავდეთ რესპუბლიკის შორეული რაიონების წარმომადგენლებსაც. თუმცა მათ რა უნდა მოსთხოვო, როცა ისეთი ქალაქი, როგორიც სოხუმია, ასპარეზობაზე არაა წარმოდგენილი, ხოლო თელავმა და ქიათურამ თითო მოჭიდავის (!) გამოყვანა „მოახერხეს“. მონაწილეთაგან ნახევარზე მეტი თბილისელია.

სამბო

ასპარეზობის ახალი წესებით ჩატარებამ სამბო უფრო მიმზიდველი და სანახაობრივად საინტერესო გახადა. ეს ასპარეზობაც გამონაკლისს არ წარმოადგენს ამ მხრივ.—ბრძოლების უმეტესობა მაღალ ტექნიკურ დონეზე მიმდინარეობს. უკვე გამოვლინდნენ ჩემპიონობის ძირითადი პრეტენდენტები. ესენი არიან: უმჩატეს წონაში — ჩ. ქუცნიაშვილი (თბილისი), ა. გარათაშვილი (ქუთაისი); მჩატე წონაში — ი. იმერლიშვილი, ზ. სახვაძე (ორივენი თბილისიდან), მ. ზაუტაშვილი (გორი); ქვემსუბუქ წონაში—ა. მარტყოფლიშვილი, თ. არაბული (ორივენი თბილისიდან); მსუბუქ წონაში — შ. ჯავრიშვილი (თბილისი), ფ. ჭავჭავაძე (მცხეთა), ქვესაშუალო წონაში — ზ. ხაინდრავა (თბილისი), ო. გულისაშვილი (საგარეჯო); საშუალო წონაში — გ. კახაბრიშვილი (თბილისი); ქვემძიმე წონაში — ა. ზურაბაული (თბილისი), ვ. ქაიხოსროშვილი (საგარეჯო); მძიმე წონაში — ნ. ყაჩმაზაშვილი (გორი) და სხვ.

ასპარეზობა დღეს მთავრდება.

ა. ცეხანელი.

• • •

სურათზე: საშუალო წონის მოჭიდავე შ. გულიაშვილი (თბილისი) მტკივნეულ ილეთს უტარებს თ. ხიდაშელს (ბათუმი).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად სსრ კავშირში იმყოფება კანადის ნაკრები შაიბიან ჰოკეიში. კანადელებმა მოსკოვში უკვე ორი შეხვედრა ჩაატარეს. პირველად სტუმრების წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის I ნაკრები გამოვიდა და დაამარცხა მეტოქე — 5:1. გუშინწინ კანადელები სსრ კავშირის მეორე ნაკრებს შეხვდნენ. ამჯერად მატჩი ფრედ — 3:3 დამთავრდა.

სურათზე: კანადელი და საბჭოთა ჰოკეისტების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. უნ და-სინისა. (საკდესი).

ხელბურთის სამეფოში

დანიაში 17 თებერვალს გავემგზავრეთ. სტოკჰოლმის აეროპორტში შეჩერებას, თუ არ ჩავთვლით, 3 საათის შემდეგ უკვე კოპენჰაგენში ვიყავით. აეროპორტში დაგვხვდნენ ჩვენი ძველი ნაცნობები, დანიის მუშათა კავშირის ხელბურთელთა გუნდის ხელმძღვანელები, რომლებიც 1961 წელს დანიის ნაკრებს ჩამოჰყვნენ თბილისში. დამხვდურთა შორის იყვნენ ხელბურთელებიც. სსრ კავშირის „ბურევესტნიკის“ ნაკრები დანიაში ასეთი შემადგენლობით ჩავიდა: აბაიშვილი, ცერცვაძე, ანთაძე, კლიმოვი, ფხაკაძე, ბაგრატიონი, ექსეულიძე, კარტოზია (ყველანი — თბილისიდან), ზიაზინი, შალუნოვი, პეჩენინი და გასიევი (ყველანი — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტიდან). ჩვენთან ერთად დანიას ეწვია აგრეთვე მოსკოვის „ტრუდის“ ქალთა გუნდი.

18 თებერვალს თამაში მოგვიწია კოპენჰაგენის მუშათა კავშირის ნაკრებთან. დანიაში, როგორც წესი, ხელბურთის დარბაზები 400-მდე მაყურებელს იტევს. მაგრამ ყოველი მათგანი კოხტაა და კარგადაც არის მოწყობილი. თავდაპირველად მოედანზე ქალები გამოვიდნენ: „ტრუდი“ (მოსკოვი) — კოპენჰაგენის ნაკრები. დანიელ ხელბურთელ ქალთა ნაკრები ძირითადად შედგენილი იყო იმ მოთამაშეებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ 1961 წელს იყვნენ თბილისში. მოსკოველ გოგონებთან შედარებით ისინი ძალზე სუსტად გამოიყურებოდნენ და ტრუდელებს დიდი ანგარიშით მოგება არ გასჭირვებიათ — 16:7 (9:3).

ჩვენი ვაჟთა გუნდი მატჩზე ასეთი სასტარტო შვიდეულით გამოვიდა: აბაიშვილი, ფხაკაძე, კლიმოვი, ექსეულიძე, ანთაძე, პეჩენინი, კარტოზია (ამ დღეს ცერცვაძე ტრავმის გამო მოედანზე არ გამოსულა). თავდაპირველად ჩვენი გუნდის ჯერ კიდევ შეუთამაშებელმა შემადგენლობამ თავი ვერ მოაბა კარის აღების ამოცანას. თამაშის აწყობა გაგვიძნელდა: 0:1, 0:2, 1:2, 1:3, 3:3, 4:4, 5:5... და მხოლოდ კლიმოვისა და ანთაძის აქტიურობის წყალობით ტაიმის ბოლოს როგორც იქნა წინ გავედით (9:8).

სიმართლე უნდა ითქვას, დაცვაშიც მოვისუსტებდით. დანიელები ძალზე კარგად ფლობდნენ ბურთს, გადაცემები იდეალური ჰქონდათ, კარში ტყორცნებიც — მოულოდნელი და ზუსტი. ასე რომ, ჯაფა მეც დამადგა.

მეორე ნახევარში ჩვენი თავდასხმა უფრო გააქტიურდა. ამოქმედდა მარჯვენა ფლანგი — ფხაკაძე. პირველი იერიშით მან ზედიზედ სამი გოლი გაიტანა და სწორედ ამან საბოლოო გარდატეხა მოახდინა თამაშში. გათამაშდა პეჩენინი. როგორც ყოველთვის, კარგად დირიჟორობდა გუნდს ანთაძე და შედეგმაც არ დააყოვნა. მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე 7 ბურთით დავწინაურდით. შემდეგ მასპინძლებმა მხოლოდ 2 ბურთის გაქვითვა შეძლეს (7-მეტრიანი საჯარიმოდან). 19:15 — ასე დამთავრდა პირველი მატჩი.

მეორე დღეს თამაში არ გვქონდა და იგი ქალაქის დათვალიერებას დავუთმეთ. დავესწარით დედოფლის მოედანზე ყარაულის გამოცვლას, რომელიც ერთობ საინტერესო სანახაობა იყო.

მესამე დღეს, დილაადრიან, ავტობუსით გავემგზავრეთ ქალაქ სლაგელსში. ორი საათის შემდეგ უკვე ადგილზე ვიყავით. იმავე საღამოს გავმართეთ მატჩი ადგილობრივ ნაკრებთან. სლაგელსი პატარა პროვინციული ქალაქია და ამიტომაც მის გუნდზე არავითარი წარმოდგენა არ გვქონდა. მოსკოვის „ტრუდმა“ კვლავ იოლ გამარჯვებას მიაღწია — 20:8.

ვაჟთა გუნდების შეხვედრაში ადგილობრივმა ხელბურთელებმა ძალზე აქტიურად დაიწყეს თამაში და ანგარიშიც წაიყვანეს — 3:0. მაგრამ ეს იყო და ეს. შემდგომში ინიციატივა ჩვენს ხელთ გადმოვიდა. ამჯერად ჩვენი სასტარტო შვიდეული ასე გამოიყურებოდა: აბაიშვილი, ფხაკაძე, ცერცვაძე, ექსეულიძე, კლიმოვი, ანთაძე, გასიევი. ჯერ ანთაძემ, ხოლო შემდეგ კლიმოვმა, არა მარტო გაათანაბრეს ანგარიში, არამედ გუნდი წინ გაიყვანეს: 10:4, 12:5, 16:8. როგორც ყოველთვის, სუსტ გუნდთან ჩვენი დაცვა ძალზე ცუდად თამაშობს. ასე იყო ამჯერადაც. შემდგომში ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა და მატჩი საკმაოდ დიდი სხვაობით მოვიგეთ — 31:14. ბოლო 5 წუთს კარს ფხაკაძე იცავდა, რომელმაც მეკარის როლიც ისევე კარგად შეასრულა, როგორც გარემარბისა. მეორე დილით გავემგზავრეთ ქალაქ ნიუბორგში, იქიდან კი ქალაქ ოდენსში, რომელიც სიდიდით მესამე ქალაქია დანიაში. საღამოს ნიუბორგში დავბრუნდით, სადაც მორიგი შეხვედრები უნდა გაგვემართა.

მოსკოველმა ქალებმა კვლავ დიდი სხვაობით მოიგეს მატჩი (13:5). მასპინძელთა ვაჟთა ნაკრები კი, როგორც გვითხრეს, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდი იყო. მართლაც, ამ გუნდში 1961 წელს თბილისის საერთაშორისო მატჩის მონაწილე, ჩვენთვის ნაცნობი მოთამაშეები თამაშობდნენ. ჩვენი სასტარტო შვიდეული ამ დღეს ერთგვარად შეიცვალა: აბაიშვილი, ფხაკაძე, კარტოზია, ექსეულიძე, ზიაზინი, პეჩენინი, გასიევი, და უნდა ითქვას, რომ ამ შემადგენლობამ გაამართლა. მართალია, თავდაპირველად გადამწყვეტი უპირატესობა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა, მაგრამ ბოლოს ვიძალეთ და ტაიმი ჩვენს სასარგებლოდ დავამთავრეთ. მეორე ტაიმში მოედანზე გამოჩნდნენ კლიმოვი, ანთაძე და ცერცვაძე. ამ სამეულმა კიდევ უკეთ ააწყო თამაში და მატჩი საბოლოოდ მოგებულ იქნა ანგარიშით 23:17.

შემდგომი დილა ძალზე დასამახსოვრებელი გამოდგა: ვესტუმრეთ გამოჩენილი დანიელი მეზღაპრის ანდერსენის სახლ-მუზეუმს, ხოლო შემდეგ ავტობუსით ქალაქ ალბორგში გავემგზავრეთ.

როგორც გვითხრეს, ამ ქალაქის სკოლებში საგანგებოდ ტარდება ხელბურთის გაკვეთილები და სწორედ აქ მზადდება პროფესიული თუ მოყვარულთა გუნდების თადარიგი. დანიელები დიდ იმედებს ამყარებდნენ ბოლო მატჩზე, რომელიც ალბორგის მუშათა კავშირის ნაკრებთან უნდა გაგვემართა. მოედანზე საბრძოლო შემადგენლობით გამოვედით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ანთაძე ბაგრატიონმა შეცვალა. როგორც წინა მატჩებში, პირველი წუთები გარდამავალი უპირატესობით წარიმართა — 1:1, 2:2, 3:3, მაგრამ შემდეგ ინიციატივა ხელთ ჩავიგდეთ და ანგარიშმაც ზრდა ჩვენს სასარგებლოდ იწყო. პირველი ტაიმის შუა წუთებში ტრავმა მივიღე და შესვენებამდე დიდის გაივაგლახით გავაღწიე (19:11). მეორე ნახევარში ჩემს მაგიერ კარს ფხაკაძე იცავდა. ეს უკანასკნელი მატჩიც ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა — 34:24. მოსკოველი ქალების მორიგი გამარჯვება კი უჩვეულო შედეგით აღინიშნა — 15:1. თანაც ამ მატჩში პირველი ბურთი მასპინძლებმა გაიტანეს.

ტურნე დანიაში — ხელბურთის სამშობლოში — წარმატებით დავამთავრეთ. ჩვენ აქ მარტო გამარჯვებები როდი მოვიპოვეთ; შევიძინეთ ახალი მეგობრები, გავეცანით მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყანას. ყოველივე ამასთან ერთად ხელბურთის დანიური სკოლისათვის დამახასიათებელ გამოცდილებასაც ვეზიარეთ.

ჯ. აბაიშვილი,
სპორტის ოსტატი.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ აფიშა

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **2-6 მარტი. თბილისის პირადი პირველობა ქალთა შორის.** დასაწყისი 17 ს. 30 წ. **2-3 მარტი. საქართველოს პირველობის ფინალი მოსწავლეთა შორის.** დასაწყისი 10 ს. 30 წ. **2-13 მარტი. საქართველოს მცირე ჩემპიონატი.** დასაწყისი 11 ს. **2-12 მარტი. „დინამოს“ რესპუბლიკური პირველობა.** დასაწყისი 18 ს. 30 წ.

ჭიდაობა სამბო. ლენინის სახელობის დარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). **2 მარტი. საქართველოს პირადი პირველობა.** დასაწყისი — დილით 12 ს.

ფრენბურთი. ლენინის სახელობის დარბაზი. **3-6 მარტი. თბილისის უძლიერესი გუნდების შერჩევითი შეჯიბრება საქართველოს პირველობაში მონაწილეობისათვის.** დასაწყისი 17 ს.

3 მარტიდან თბილისის სპორტის სასახლეში გასტროლებს იწყებს უნგრეთის ბალეტი ყინულზე.

წარმოდგენილი იქნება ორნაწილიანი რევიუ **„მთელი წლის სიყვარული“.**

რომელშიც მონაწილეობენ: მსოფლიოს, ევროპისა და უნგრეთის ჩემპიონები — მარიანა ნადი, ესტერ იურეკი, გაბორ ვიდა, დიერდი ბოტონდი, დიერდ ცაკო, მიკლოშ კუზო-ვაი, კატალინ რაკოში და სხვ.

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში და რწმუნებულების მეშვეობით. მიიღება განაცხადები კოლექტიურ დასწრებაზე. ტელეფონები: 7-20-02; 7-01-55; 7-20-54.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04674